

ჩვენნი საზოგადოებრივი და სპორტული



მშთ-ს სამკერდე ნიშანზე საკავშირო გამოცდის — ძალიან და ვაქცინაციის გამოცდის ახალი კომპლექსის შემოღება საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვისადმი საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა. დასაბამი შეიქმნა ახალ ეტაპს ფიზიკური აღზრდის საბჭოთაო სისტემის განვითარებაში — შემდგომ პრაქტიკულ რეალიზაციას მასობრივიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის ამოცანისას, რომელიც პარტიამ და მთა-

ერობამ 1966 წლის ცნობილ აგვისტოს დადგენილებაში წამოაყენეს.

განვითარების პროცესში მყოფი სოციალისტური საზოგადოების ახალმა მოთხოვნებმა გამოიწვია აუცილებლობა, რომ დამუშავებულიყო და ძალაში შეესრულიყო მშთ ახალი კომპლექსი, გამოუმუშავებულიყო განსხვავებული მიდგომა და შეწყდულიყო კომპლექსის პრაქტიკული მუშაობისადმი.

ახალი კომპლექსის შემოღებით მაღლდება სამინისტროების, უწყებების, პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულ-

ტურული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის წინაშე ხალხის ფიზიკური აღზრდის გამო.

... მშთ-ს ახალი, ღამაში და რთული ცხოვრების ხანა დაუდგა. 40 წლის წინათ ლენინური კომკავშირის მიერ წამოყენებული მოწოდება: „მთავარი კუნთები და ფიზიკური თვალის — ყოველ შრომამდე“ დღესაც თანადროულია. მას, დღე დაღვემაროს დამკვერთურ შრომაში, სამშობლოს დაცვასა და გულმხურვალე სიყვარულში სახელგანთქმული მშთ — ჩვენი საზრუნავი და სიამაყე!

მშთ კომპლექსის ახალი სამოსაქმი

პროფკავშირის მშთა ქვეყნისა, შავიბრძოლი

მშთ

1972 წ. № 42 (4552) თბილისი, საზოგადოებრივი. ფანი 8 აპა.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ — შემოღებისადმი მიძღვნილი საკავშირო მათემატიკური

მშთ. მზად ვარ შრომისა და ჩემი სამშობლოს დაცვისთვის რაოდენი ძალა ჩამოვიყრი ამ სიტყვებში! უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია მშთ საბჭოთა ხალხს ემსახურება. ამ კომპლექსის სამკერდე ნიშანზე ახალი გამოცდის შემოღებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე საზოგადოებრივი მშთ-ს დამსახურება დამკვერთურ შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის საბჭოთა ხალხის მომზადებაში, თათბირზე, რომელიც 24 თებერვალს მოსკოვში გაიმართა, თავი მოიყარეს ფიზკულტურულმა მუშაკებმა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების, დოსაფის ცენტრალური კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კავშირის ხელმძღვანელებმა მუშაკებმა, ჟურნალისტებმა.

მისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალ კომპლექსსაც დარჩა. ამჯერად მშთ-ს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. კომპლექსი საბჭოთა კავშირში ფიზკულტურული მუშაობის მთავარ ღერძად უნდა იქცეს; მოამზადოს საბჭოთა ხალხი მაღალსაფეხური შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის.

ფართოდ განიხილეს ფიზკულტურის კოლექტივებში და მან საყოველთაო მაღალი შეფასება მიიღო. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ საკავშირო პროფსაბჭოსთან და საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტთან ერთად დამუშავებულ საბოლოო ვარიანტში გათ-

ლსაჩინოდ ასახსნელად, ხასწავლო-პროპაგანდისტული ლიტერატურა, სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების ფიზკულტურის კოლექტივებში მუშაობის დამსმარე სახელმძღვანელოები. განზრახულია სპეციალური ფილმებისა და ფოტოების გამოშვება. მთელი მუშაობის კოორდინაციისთვის შექმნილია

ორგანიზაციების მომავალ მუშაობაზე მშთ ახალი კომპლექსის დანერგვისთვის. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ აუცილებელია დროულად და სარბიზოვნად მომზადდეს სპორტული ბაზები მშთ კომპლექსის ნორმების მისაღებად, ღამაში გაფორმდეს ეს ბაზები პლაცარებითა და მოწოდებებით, სადაც ახსნილია იქნება კომპლექსის უდიდესი მნიშვნელობა.

როგორც თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა აღნიშნა, მშთ კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოთაო სისტემის საფუძვლად იქცა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

დიდი დრო გავიდა 1930 წლის შაინის დღიდან, როცა ლენინურმა კომკავშირმა წამოაყენა წინადადება მშთ-ს სამკერდე ნიშანზე ფიზიკური გამოცდების კომპლექსის შემოღების თაობაზე. მაგრამ დროით შემოწმებული და დამსახურებული დიდებით დამწვევებელი სახელწოდება — „მზად ვარ შრო-

ხვალ იწყება მშთ კომპლექსის ახალი ეტაპი. ჩვენი უპირველესი ვალა მალა დონეზე მოვაყვით ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, დროულად და ხარისხობრივად მოვაყვადით სპორტული ბაზები მშთ კომპლექსის ნორმების მისაღებად. მშთ-ს სამკერდე ნიშნის ყოველ მამკერველს ნორმატივების ჩაბარების დღე-ები საგულდაგოდ უნდა დაემახსოვრდეს. ეს ნამდვილი ზეიმი უნდა იყოს!

იზრდება მშთ კომპლექსის როლი ხალხის პატრიოტულ აღზრდაში, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ახალგაზრდობის მომზადებაში. კომპლექსის იდეისა და შინაარსის სწორად გამოყენება შეიძლება და უნდა იქცეს კიდევ მასობრივი სპორტის განვითარების წყაროდ, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცადინო მილიონობით ბავშვის, მოზარდის, ჯაბუკისა და ქალბავშვის, ქვეყნის ყველა მშრომლის მიზიდვის საშუალებად.

მშთ ახალი კომპლექსის პროექტი

გაღისწინებულა წინადადებები და შენიშვნები. რაც კომპლექსის ამ საყოველთაო განხილვის პერიოდში გამოითქვა.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა დამსწრეთა აცნობა, რომ რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტებმა, სპორტულ საზოგადოებებმა ცენტრალურმა საბჭოებმა და საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დაამუშავეს დონისძიებანი მშთ ახალი კომპლექსის დანერგვისთვის.

გამოიცემა პლაკატები კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივების თა-

მშთ კომპლექსის საკავშირო საბჭო. მას სათავეში უდგას მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ლეონოვი.

თათბირზე გამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი გ. ბოგატევი, საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. არუთინიანი, დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ბოკრიშვინი. ისინი ღამაში დადგნენ პროფკავშირთა, კომკავშირის, დოსაფის

კამათში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ნ. მოხოვი, განათლების სამინისტროს კოლეჯის წევრი, სკოლების მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. კოროტოვი, უკრაინის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. კულიკი, რუსეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შახაგინი და სხვ.

თათბირმა მოისმინა, აგრეთვე, მოხსენება ზამთრის XI ოლიმპიურ რამაში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებზე. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. როგულსკიმ.

სიტყვით გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ი. სკლიაროვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ბ. გონაროვმა, საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ტ. კუცენკომ, სკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ მშთ კომპლექსის შინაარსი და მოთხოვნებისა და ნორმების

დანართი 1
ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში
I საფეხურის მოთხოვნების ჩამოთვლილთათვის

ახალი — 10-11 წელი

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა პიონერთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისთვის.

გ. ი. ლენინისა და მ. ი. კალინინის გამოთქმები მოზარდთა თათბირის ფიზიკური აღზრდის შესახებ. პიონერთა და მოზარდთა დამოკიდებულება ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისადმი სკოლაში, საცხოვრებელ ადგილებსა და პიონერულ ბანაკებში.

პიონერის — მოსწავლის ძირითადი

შეხვედრის კირობები

ცოდნა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის I საფეხურის, სპორტული კლასიფიკაციის, აგრეთვე, გამოწვეული საბჭოთა სპორტსმენების — ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონთა შესახებ.

ახალი — 12-13 წელი

იგივე, რაც 10-11 წლის ასაკისთვის, და დამატებით: როგორ უნდა ჩაება ფიზიკური კულტურა და სპორტი სწავლას. საზღვარგარეთის სარბიზოზე საბჭოთა სპორტსმენების გამოხვედრის მნიშვნელობა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

II საფეხურის მოთხოვნების ჩამოთვლილთათვის

გ. ი. ლენინი ფიზიკური აღზრდის შესახებ. ფიზიკური კულტურასა და

სპორტში მეცადინეობის საზოგადოებრივი და პირადი მნიშვნელობა.

სკოლასა და ოჯახში ფიზიკური აღზრდის ძირითადი ამოცანები, ფორმები და მინიარსი.

მოსწავლეთა სპორტული შეჯიბრებებისა და საკავშირო სპორტკავადების მნიშვნელობა.

მშთ კომპლექსის II საფეხურის შინაარსი.

სპორტული კლასიფიკაციის როლი მოზარდთა თათბირის ყოველმხრივ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ დასტურებაში.

III საფეხურის მოთხოვნების ჩამოთვლილთათვის

პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ფიზიკურ-

რი კულტურისა და სპორტის საკითხებზე.

ფიზიკური აღზრდის საბჭოთაო სისტემის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის და ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ძირითადი დებულებანი. წვევამდელისა და საბჭოთა არმიის მებრძოლის ფიზიკური მომზადების პრინციპები.

საბჭოთა სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირები. მათი წარმატებები. საერთაშორისო სარბიზოზე. სპორტის დარგში თანამშრომლობის მნიშვნელობა მშვიდობისა და მეგობრობისთვის ბრძოლაში.

IV საფეხურის მოთხოვნების ჩამოთვლილთათვის

იგივე, რაც III საფეხურის ჩამოთვლილთათვის


ბელთათვის, და დამატებით: ფიზიკურ კულტურასა და სპორტში დამოუკიდებელი მეცადინეობის ორგანიზაციისა და ჩატარების ძირითადი მეთოდური პრინციპები.

საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაში.

V საფეხურის მოთხოვნების ჩამოთვლილთათვის

იგივე, რაც IV საფეხურის ჩამოთვლილთათვის, და დამატებით: აქტიური მოძრაობით რეჟიმის მნიშვნელობა საშუალო ასაკისა და ხანაში შესული ადამიანებისთვის. ჯანბრთვითის ჯგუფში მეცადინეობის ორგანიზაცია.

(დასასრული მე-2 გვ.)



მ ე ლ ე ბ ი ბ ა ნ ა ჯ ი ლ დ ა

გუშინწინ ბაკურიანში გაიმართა სსრ კავშირის პირადი საუწყებო პირველობა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან სტოპში. შეჯიბრებაში ყველა სპორტსაზოგადოებისა და უწყების საუკეთესო „მფრინავი მოთხილავურები“ მონაწილეობდნენ. სტარტზე 58 სპორტსმენი გამოვიდა. მოახარებეთა შორის ვერ ვიხილეთ სსრ კავშირის ნაკრების მხოლოდ სამი წევრი — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი, ევროპის იუნიორთა ჩემპიონი ი. კალინინი და ს. იანინი, ამიტომ ოქროს მედალისთვის ბრძოლა გაჩაღეს ქვეყნის ნაკრების წევრებმა — სპორტის დამსახურებული ოსტატმა ა. წაქაძემ (საბჭოთა არმია) და ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ა. შევლანოვმა („შრომითი რეზერვები“), აგრეთვე, ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა ვ. ხმირიძემ (მოსკოვი, „ზენიტი“), ექს-ჩემპიონმა მ. ვერეტნიკოვმა (გორკი, „შრომითი რეზერვები“) სხვ.

შევლანოვმა I ადგილი დაიკავა — 227,5 ქულა (ნახტომები — 104 და 98,5 მ). მან პირველად მოიხვევა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ქვეყნის სამგზის ჩემპიონი წაქაძე ამჯერად ვერცხლს დახვრდა — 220,7 ქულა (98 და 142,5 მ). ბრინჯაო მოიპოვა 21 წლის პერმელმა ვ. გალუშინმა („სპარტაკი“) — 218,6 (97 და 100 მ).

ს უ რ ა თ ე ბ ე : ა. შევლანოვი, ახპარეზობის დროს; გამარჯვებულთა კვარტლებზე (მარცხნიდან) — ა. წაქაძე, ა. შევლანოვი და ვ. გალუშინი.
ო. გელაშვილის ტექსტი და ფოტოები (ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

„... ისეთივე რ ჩ მ ბ ა“

მოსკოვი, 28 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ჩოგბურთულთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო ორ დღეს ფინალური შეხვედრები გაიმართა. თავდაპირველად ურთიერთობა გაარკვევს ქალთა წყვილების ფინალში მონაწილეობა. აქ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თ. მორიზოვა — შ. იანსონე და მ. კროშინა — ე. ბირდუკოვა. გამარჯვებულთა გამოვლენას დასჭირდა სამივე ხელი, სადაც პირველობისთვის ბრძოლა მორიზოვასა და იანსონეს წარმატებით დამთავრდა — 6:3, 5:7, 6:4, III სპარინგო ადგილი ა. ერემეევასა და ლ. სინკევიჩის მიეკუთვნათ.

ვაჟთა წყვილების ფინალში ა. ვეტრეველმა და ს. ლისაროვმა სძლიეს პ.-ნ. პოლმანსა (გფრ) და უ. ვოტკშალკს (დასავლეთ ბერლინი) — 6:4, 7:5, 6:7, 6:3.
III ადგილი წილად ხვდათ ვ. გგორიძესა და ვ. კორტკოვს.
შორეულ დღეს, როცა დანარჩენი ფინალური მატჩები გაიმართა, ერთი შეხვედრით მხოლოდნელი შედეგების მოწმენი გახდით, მართალია, მთელი ტურნირის მანძილზე იგრძნობოდა, რომ მეტრეველი ჩვეული ოსტატობით

ვერ ართმევდა, თავს პირველობისთვის ბრძოლას, მაგრამ ამჯერად იგი ისე უხალისოდ, ძალდატანებით თამაშობდა, რომ წარმატების იმედი თავიდანვე გადაგვეწერა. თუ იმასაც დაფიქრებთ, რომ მეტრეველს ხელი სტეიკოდა, ცხადი გახდება ვ. კორტკოვთან ფინალურ მატჩში ჩვენი ჩოგბურთელის წარუმატებლობის მიზეზი. მეტრეველმა კორტკოვთან წააგო ანგარიშით 2:6, 4:6, 6:3, 5:7.

ტურნირის ესწრებოდა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ჟილ დეკარმადევი. აი, რა თქვა მან ქართულ ჩოგბურთულზე: „მეტრეველი უდავოდ ყველაზე ძლიერი სამტოთა ჩოგბურთელია. იგი ისეთივე იქნებოდა, ვთლკოვთან რომ წააგო, ისეთივე რჩება კორტკოვთან დამარცხების შემდეგაც. მეტრეველი რომ საუცხოო სპორტსმენია, ამას ადასტურებს მის მიერ ავსტრალიაში მოგებულ ტურნირებზე. თითქმის ყველა შეჯიბრებაში წყვილად გამარჯვება ძალიან მშვენიერად და, ამასთან, დამტკიცებელი, განსაკუთრებით, ნერვებისთვის“.

ვაჟთა ერთეულში III ადგილზე გავიდა თ. ლეიუსი.
ბოლო დღეს მეტრეველმა მორიზოვასთან ერთად კიდევ ერთი მარცხი იწვნია. ამ დღეებში ფინალური შეხვედრა წააგო ბირდუკოვასთან და ლისაროვთან — 3:6, 6:3, 2:6. შერეულ წყვილთა თანრიგში III ადგილი მიეკუთვნათ მ. ჩუვირინსასა და თ. კაპშალას.

ამ ტურნირში არც მორიზოვას გაუღიმა ბედი. როგორც იცით, იგი ქალთა ერთეულების ფინალშიც კი ვერ მოხვდა. ამ თანრიგში პირველობა იხვეობა ბაქოელმა ბირდუკოვამ, რომელმაც ბოლო შეხვედრა ძალიან იოლად მოუგო მოსკოველ ა. დმიტრიევას — 6:4, 6:3. მორიზოვა III ადგილს დასჯერდა.

შეხვედრები
4 და 8 მარტს
იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გაუგრძელდა ტურნი ინდონეზიაში, მათი შეხვედრები სსრ კავშირის თასზე ხარკოვის „მეტალისტთან“ შედგება 4 და 8 მარტს.

საქართველოში

← გათუბი
გაიმართა აჭარის ასსრ დოსაფის აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ამ საზოგადოების კომიტეტების თავმჯდომარეები, სასწავლო პუნქტების, ორგანიზაციებისა და კლუბების უფროსები, პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები. დოსაფის VII საკავშირო ყრილობის შედეგებისა და რესპუბლიკური საზოგადოების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა აჭარის დოსაფის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის შოადილე პოლიტინაშვილი შ. მესხიძე.
ო. მურვანიძე.

← ზუგდიდი
დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები შავიღის ჩოგბურთისა და ჰალარაში. შავიღის ჩოგბურთელთა ტურნირში გამომარჯვებულნი შეჯიბრებაში — ინგირის საშუალო სკოლაში, პირად ასპარეზობაში — გოგონებს შორის ლ. კითანავამ (ინგირის 1-ლი საშუალო სკოლა), ვაჟთა შორის კი გ. გუმბერიძემ (ინგირის საშუალო სკოლა). მოპარაკეთა შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა კახათის საშუალო სკოლის გუნდმა. პირად მათეულში გოგონებს შორის გამარჯვება ამავე სკოლის მოსწავლემ მ. კაკულიამ, ვაჟთა შორის კი დ. სალიამ (დარჩელის საშუალო სკოლა).
ა. ფიფია.

ჩვენს კოშაკში
საქართველოში
საქართველოს



გაიგარჯვენს კოროზინაქვე და ბიბილაშვილმა

დამთავრდა „კოლომერის“ ცენტრალური საბჭოს მოპარაკეთა ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები. ქალთა ტურნირში ჩემპიონის სახელი დასაკუთრა ლ. კოროზინაძემ (მხარაძე). II ადგილი ხვდა ა. ბაძალას (ზუგდიდი), III — ნ. ჯანჭილავას (ცხაკია). ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აქ-

ობა გარდაბნულმა ოსტატობის კანდიდატმა გ. ბიბილაშვილმა. მას ერთი შეხვედრაც არ წაუგია. II ადგილი დაიკავა წალენჯიხელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. მხარულამ, III — ხაშურელმა ოსტატობის კანდიდატმა ი. მანაშეროვმა. პირველ სამ ადგილზე გასულები მონაწილეობას მიიღებენ სოფლის

მოპარაკეთა საკავშირო ჩემპიონატში.
ი. გუგუშავა,
(ჩვენი კორ.).
ცხაკია.
ს უ რ ა თ ე ბ ე : ლ. კოროზინაძის (მარცხნივ) და ა. ბაძალას შეხვედრა. შ. ხარებავას ფოტო.

3. ღავითაშვილი — „დინამოს“ ჩემპიონი

თბილისში დამთავრდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მოპარაკეთა ვაჟთა ჩემპიონატი. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ღავითაშვილმა — 10 ქულა 13-დან. მან ერთადერთმა დაუმარცხებლად განულო შეჯიბრება. II ადგილი ხვდა ოსტატობის კან-

დიდატ გ. გამრეველს — 9,5, III — ოსტატობის კანდიდატ ვ. სემიონოვს — 8,5.
სამივე მონაწილეობას მიიღებს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაწევარფინალში, რომელიც მარტის ბოლოს თბილისში ჩატარდება.

ტურნირში წარმატებით იასპარეზა პირველთანრიგისანამა ა. მეგრელიძეოლმა. მან 8 ქულა მოაგროვა და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.
ა. ბუსლავეი,
სპორტის ოსტატი.

